



## დამოუკიდებელი ინსპექტორის

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 24 თებერვალი

დისციპლინური საქმე №7/20

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 23 იანვრის №7 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 30 იანვრის №30/7-03 წერილით განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა და მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

#### 1. საჩივრის (საჩივრების) ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერებას ხდის სადავოდ. კერძოდ, აღნიშნავს, რომ მოსამართლეს უცვლელად უნდა დაეტოვებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სრულად იყო დაკმაყოფილებული მისი სარჩელი.

#### 2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2018 წლის 29 ივლისს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს მოპასუხის - - - - მიმართ მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

2018 წლის 11 ივლისს მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

სასამართლო სხდომები გაიმართა 31.10.2018; 26.11.2018; 21.12.2018; 6.02.2019; 27.02.2019 წწ პერიოდებში.

2019 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი -- -- მიმართ მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა.

2019 წლის 8 აპრილს -- -- სასამართლოში წარადგინა სააპელაციო საჩივარი და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ითხოვა.

2.2. -- სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 17 მაისის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული.

2019 წლის 1 ივლისს -- -- სააპელაციო შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

2019 წლის 17 ოქტომბრის საოქმო განჩინებით შეჩერდა საქმის წარმოება სამოქალაქო საქმეზე №2/5790-19 -- სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე №2ბ/3569-19 საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

2019 წლის 17 დეკემბრის განჩინებით საქმის განხილვა მთავარ სხდომაზე დაინიშნა 2020 წლის 22 იანვარს.

2020 წლის 22 იანვარს გაიმართა სასამართლო სხდომა.

2020 წლის 22 იანვრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა -- საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

მხარეებმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 370-ე მუხლის საფუძველზე უარი განაცხადეს მიღებული განჩინების გასაჩივრებაზე, რაც დასტურდება მხარეთა ხელმოწერებით.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს.

აღნიშნული სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, მოსამართლემ განჩინება მიიღო მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

ამასთან საყურადღებოა, რომ საჩივრის ავტორმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 370-ე მუხლის საფუძველზე უარი განაცხადა სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გასაჩივრებაზე, რაც დასტურდება მისივე ხელმოწერით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით და 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

-- -- №7 საჩივარზე მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**